საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №196/04
2022 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge; 23/06/2017; ს/კ: 220020000.18.011.016245) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - კომერციული ბანკის საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი სიდიდე, სადაც წონებად გამოიყენება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკები;

მ) უმოქმედო სესხები – საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესის“ შესაბამისად განსაზღვრული მე-3 დონის საკრედიტო რისკის ფინანსური ინსტრუმენტები და შეძენილი ან გამოშვებული გაუფასურებული ფინანსური ინსტუმენტი (POCI);“;

ბ) „ქ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) **ძირითადი ინფორმაცია აქტივებზე:**

ზ.ა) რისკის პოზიციის ღირებულების განაწილება ნარჩენი ვადიანობის და რისკის კლასების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-17 ცხრილის შესაბამისად;

ზ.ბ) აქტივების, აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და ჩამოწერის განაწილება რისკის კლასების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-18 ცხრილის შესაბამისად;

ზ.გ) აქტივების, აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და ჩამოწერის განაწილება დაფარვის წყაროს სექტორების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-19 ცხრილის შესაბამისად;

ზ.დ) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება სესხებზე და კორპორატიულ სავალო ფასიან ქაღალდებზე, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-20 ცხრილის შესაბამისად;

ზ.ე) უმოქმედო სესხების ცვლილება, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 21-ე ცხრილის შესაბამისად;

ზ.ვ) სესხების, სავალო ფასიანი ქაღალდების და გარესაბალანსო ვალდებულებების განაწილება, საკრედიტო რისკის კატეგორიის, ვადაგადაცილების და მსესხებლის ტიპის მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 22-ე ცხრილის შესაბამისად;

ზ.ზ) სესხების, უზრუნველყოფის კოეფიციენტის მიხედვით განაწილებული სესხების, სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, სესხებზე უზრუნველყოფის ღირებულების და გარანტიებით უზრუნველყოფილი სესხების განაწილება საკრედიტო რისკის კატეგორიისა და ვადაგადაცილების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 23-ე ცხრილის შესაბამისად;

ზ.თ) სესხების და სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაწილება, დაფარვის წყაროს სექტორების და საკრედიტო რისკის კატეგორიის მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 24-ე ცხრილის შესაბამისად;

ზ.ი) სესხების, კორპორატიული სავალო ფასიანი ქაღალდების და გარესაბალანსო ვალდებულებების განაწილება უზრუნველყოფების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 25-ე ცხრილის შესაბამისად;

ზ.კ) ზოგადი და ხარისხობრივი ინფორმაცია საცალო პროდუქტებზე, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 26-ე ცხრილის შესაბამისად;“.

3. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ბუღალტრული და საზედამხედველო კონსოლიდირების დონით გამოწვეული განსხვავებების მიზნით, ბანკები ვალდებულნი არიან პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში წარმოადგინონ:

ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგენილ და გამოქვეყნებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების ღირებულებების შედარება იმავე მუხლების შესაბამის ღირებულებებთან საზედამხედველო კონსოლიდირების დონეზე ამ წესის №2 ანგარიშგების ფორმის მე-20 ცხრილის შესაბამისად. ბანკები ვალდებულნი არიან განმარტონ ღირებულებებს შორის არსებული მატერიალური განსხვავებები;

ბ) ყველა იმ საწარმოს ჩამონათვალი, რომელიც კონსოლიდირდება ფინანსური და/ან საზედამხედველო ანგარიშგების მიზნებისთვის, მათი შესაბამისი კონსოლიდირების მეთოდის მითითებით ამ წესის №2 ანგარიშგების ფორმის 21-ე ცხრილის შესაბამისად.“.

მუხლი 2

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2023 წლის 1 თებერვლამდე უზრუნველყოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული, ამ ბრძანებით გათვალისწინებული ანგარიშგების ფორმების განახლება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**